ხელშეკრულება

ქ. თბილისი "__/__" იანვარი 2011წ.

ს.ს. "გლობალ ერთი" (შემდგომში "ოპერატორი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარიტაძის სახით ერთის მხრივ და ქ. თბილისის 53- ე საჯარო სკოლის დირექტორის (შემდგომში "აბონენტი"), წარმოდგენილი ბატონი გიორგი კაშია მეორეს მხრივ დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "ოპერატორის" მიერ "აბონენტისთვის" საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების გაწევა დაშვების კოდით "8-18"-ით და ინტერნეტით მომსახურების გაწევა კოდით "8-18-00 18" შემდეგი სატელეფონო ნომრებიდან :

	სატელეფონო ნომერი	ლიმიტი		სატელეფონო ნომერი	ლიმიტი
1			6		
2	227480		7		
3			8		
4			9		
5			10		

2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1 "ოპერატორი" ვალდებულია:

2.1.1.უზრუნველყოს "აბონენტი"-ს შეუფერხებელი მომსახურეობა "8-18" და "8-18-00 18" კოდით სარგებლობისას «გლობალ ერთი"-ს მოქმედი ტარიფებით, რომელიც მოცემულია დანართში და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.1.2. გაუწიოს აბონენტს უფასო საინფორმაციო მომსახურება;

2.1.3. ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე "აბონენტს" წარუდგინოს ანგარიში მისი ტექნიკური საშუალების განთავსების ადგილას, თუ გაწეული მომსახურეობის საფასური აღემატება 20 ლარს.

2.1.4. "აბონენტისათვის" მიწოდებული მომსახურეობის გაუარესებისა ან შეფერხებაზე შეტყობინების მიღების შემთხვევაში დაუყომებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები დაზიანების გამოსასწორებლად;

2.1.5. შეუზღუდოს აბონენტს მომსახურება ხელშეკრულებაში აღნიშნულ ყველა სატელეფონო ნომერზე თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტის გაფრთხილებიდან არაუადრეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

2.1.6. დავალიანების გადახდის შემთხვევაში აღუდგინოს აბონენტს მომსახურება არაუგვიანეს დავალიანების დაფარვის მომდევნო დღისა.

2.1.7. მომსახურების პირობებისა, ანგარიშსწორების ან ტარიფის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს "აბონენტს".

2.1.8. აბონენტის პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, მიიღოს საუბრის ან\და ანგარიშის წარდგენის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

2.1.9. ოპერატორი პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაში როცა აბონენტის ტექნიკური საშუალება ან ქსელის მფლობელი ოპერატორის სახაზო –საკაბელო მეურნეობა ხელყოფილია მესამე პირების მიერ უკანონოდ.

2.2 "აბონენტი" ვალდებულია:

2.2.1." მომსახურეობის გაუარესების ან შეფერხების შესახებ შეატყობინოს "ოპერატორს" სატელეფონო ნომერზე: 43 91 52;

2.2.3. საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე დაფაროს არსებული დავალიანება.

2.2.4. დავალიანების პუნქტ 2.2.3.-ში აღნიშნული დროის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში შეზღუდული მომსახურების აღდგენისთვის გადაიხადოს დამატებით 1 ლარი.

2.2.5. წარუდგინოს ოპერატორს პრეტენზია ზეპირი ან წერილობითი ფორმით. საპრეტენზიო საკითხის დაუყონებლი გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი წაყენებულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, განმცხადებლის ვინაობისა და იმ მისამართის მითითებით, რომელზეც შეიძლება მიღებულ იქნეს პასუხი.

2.2.6. მესამე პირთა უნებართვო სარგებლობისგან დაიცვას მის შენობაში განთავსებული ტექნიკური საშუალებები;

2.2.7. ოპერატორის მიერ გაწეულ მომსახურებაზე პრეტენზიების წარდგენა მოახდინოს არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში საუბრის ან ანგარიშის მიღების მომენტიდან;

2.2.8. 2 (ორი) კვირით ადრე წერილობით აცნობოს "ოპერატორს" ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შესახებ;

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. თუ მხარეები ამ ვადის გასვლამდე 2 (ორი) კვირით ადრე არ შეატყობინებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით.

3.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა მიერ ნებისმიერ დროს, რის შესახებაც შემწყვეტი მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს 2 (ორი) კვირით ადრე;

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. აბონენტი ოპერატორთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიღებული ანგარიშის საფუძველზე, საბანკო ქსელის ან ოპერატორის საგადამხდელო პუნქტის მეშვეობით, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

5. ზოგადი პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.2. ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორსმაჟორულ გარემოებებს.

5.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები ბათილია.

5.4. ყველა დავა მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლოს მეშვეობით.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) ეგზემპლარად. ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. მას თან ახლავს დანართი №1 (კომპანიის ტარიფები და აკრეფის წესები) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები:

0108, თბილისი რუსთაველის გამზ. 31
ს.ს. "გლობალ ერთი", 201949918
პროკრედიტბანკის ცენტრალური ფილიალი
GE60PC0133600100036106;
კოდი 220101922
sainformacio -sacnobaro nomrebi
43 91 43; 43 91 59;

ს.ს. "გლობალ ერთი"-ს
აბონენტებთან ურთიერთობის
სამსახურის მენეჯერი

_____ ო. კობაური

აბონენტი: ქ. თბილისის 53-ე საჯარო სკოლა

იურიდიული მისამართი: ბარნოვის ქ №46

საფოსტო მისამართი: _____

საბანკო რეკვიზიტები: „კორსტანდარტბანკი"
მელიქიშვილის განყოფილება

_____

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
school53geo@gmail.com

საიდენტიფიკაციო კოდი: 203853838
ტელეფონი: 22 74 80

თანამდებობა: სკოლის დირექტორი

ხელის მოწერა: _____